ევროპული სკოლა

სკოლის გაზეთი

ინოვაციების ლაბორატორიის საზეიმო გახსნა

სიამაყით წარმოგიდგენთ აღმოსავლეთ ევროპაში პირველ სასკოლო სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიას ჩვენი სკოლის სივრცეში.

FabLab-ის არსებობა ევროპულ სკოლაში უპრეცედენტო სწავლების მოდელია ქართული განათლების სფეროსათვის და შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს, ჰქონდეთ ყოველდღიური შეხება თანამედროვე ტექნოლოგიებთან და აღიჭურვონ ცოდნით, რომელსაც გამოიყენებენ საქართველოში საერთაშორისო დონის ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად. თანამედროვე ინფრასტრუქტურასთან ერთად, FabLab-ის მოდელი პროექტებზე დაფუძნებული სწავლების ახალ მეთოდოლოგიაზეა დამყარებული, რაც კომპლექსურად გაამლიერებს სკოლაში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების სწავლების პროცესს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სკოლის ფაბლაბში იდეალური გარემო და ინფრასტრუქტურაა შექმნილი მომავალი ინოვატორებისა და ანტრეპრენერების ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, ფაბლაბში თავად შექმნან ისეთი პროდუქტები, რომლებიც შემდგომ პრაქტიკაში დაინერგება და სტარტაპის სახეს მიიღებს.

ჩვენი სკოლის ფაბლაბი აღჭურვილია შემდეგი აპარატურით: ლაზერული მჭრელი, 3D პრინტერი, ინდუსტრიული რობოტის ხელი, პროგრამირებადი ჩარხი, სასერი პლოტერი, UV პრინტერი, ვაკუმ ფორმირების აპარატი, თერმო პრესი, ელექტრონიკის მაგიდა და სხვა ხელსაწყოები გამოგონებებისა და ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად.

ფაბლაბის გახსნის ცერემონიალმა საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. წითელი ლენტის გაჭრის პატივი წილად ხვდათ: ევროპული სკოლის აკადემიურ დირექტორ სოფიო ბაზაძეს, განათლების მინისტრის მოადგილე ნათია ზედგინიძესა და Future Laboratory-ს გენერალურ დირექტორ ირაკლი ქაშიბაძეს.

“ფაბლაბი არის პლატფორმა სწავლებისა და ინოვაციებისთვის.
ვულოცავ სკოლის საზოგადოებას. ბევრი ბენეფიტიდან, რომელსაც ეს პროექტი მოუტანს ჩვენი სკოლის მოსწავლეებს, მინდა ხაზი გავუსვა ერთ-ერთ მთავარ ბენეფიტს - ეს არის ინტეგრირებული ინტერდისციპლინიური მიდგომა, პროექტებზე და პრობლემის გადაწყვეტაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც მოსწავლეს აძლევს იმ ცოდნა-განათლებასა და უნარებს, რომელიც მათ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს მომავალში.”

სოფიო ბაზაძე, ევროპული სკოლის აკადემიური დირექტორი

CIS MEMBER
ი. სხირტლაძის ქუჩა 2, თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 239 59 64,
ელ-ფოსტა: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

ესტონეთის ელჩის სტუმრობა

2018 წლის 30 ნოემბერს ევროპულმა სკოლა უმასპინძლა ესტონეთის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ქალბატონ კაი კაარელსონს.
ჩვენი სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრაზე ელჩმა ისაუბრა ესტონეთის მიღწევებზე საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და სახელმწიფო სერვისებში და განიხილა ამ მიმართულებით საქართველოს განვითარების სამომავლო შესაძლებლობები.
ამის შემდეგ ევროპული სკოლის მოსწავლეებმა სტუმარს დაათვალიერებინეს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ახლადგახსნილი ინოვაციების ლაბორატორია ფაბლაბი. ფაბლაბის არსებობა სკოლის სივრცეში უპრეცედენტო სწავლების მოდელია ქართული განათლების სფეროსათვის და შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს, თანამედროვე ტექნოლოგიებთან ყოველდღიური შეხებით მიიღონ STEM ცოდნა ჯერ კიდევ დაწყებითი კლასებიდან. ევროპულ სკოლაში დანერგილი სწავლების მეthოდოლოგიის გაცნობის შემდეგ, ელჩმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მსგავსი პროექტების მნიშვნელობას ინოვატორების მომავალი თაობის აღზრდისა და ქვეყნის განვითარებისათვის.
გვსურს, დიდი მადლობა გადავუხადოთ ქალბატონ კაი კაარელსონს და ვიმედოვნებთ, ეს ვიზიტი გააძლიერებს საქართველოში ესტონურ სათვისტომოსა და ევროპულ სკოლას შორის ურთიერთობებს.

სკოლების გამოფენა 2018

7 და 8 დეკემბერს ევროპული სკოლა წარმოდგენილი იყო სკოლების გამოფენა 2018-ზე, რომელიც საგამოფენო ცენტრ ექსპოჯორჯიაში ჩატარდა.
საქართველოში სკოლების გამოფენა ამ მასშტაბით პირველად გაიმართა. გამოფენა მიზნად ისახავდა, შეექმნა ერთიანი პლატფორმა საშუალო განათლების სფეროში და ერთ სივრცეში შეეკრიბა ინდუსტრიის ყველა მონაწილე და პოტენციური მომხმარებელი.
დამთვალიერებს საშუალება მიეცათ, ქართული საშუალო განათლების ბაზრის გადმოსახედიდან უკეთ დაენახათ და შეეფასებინათ ევროპული სკოლის უპირატესობები, პროგრამები, სწავლების მეთოდიკა, ინფრასტრუქტურა, კურიკულუმები და ტექნიკური უზრუნველყოფა.
ჩვენი სკოლის სტენდის ვიზიტორებს უამრავი საინტერესო აქტივობითა და, რაც მთავარია, ევროპული სკოლის პროგრამების შესახებ ამომწურავი ინფორმაციით დავხვდით.
ამ 2 დღის მანძილზე, ჩვენს ინტერაქტიულ სტენდთან ხალხმრავლობა იყო და არ წყდებოდა დაინტერესებული მშობლებისა და ბავშვების ნაკადი. დიდი მადლობა ჩვენს დამთვალიერებლებს და იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში მათ დიდ ნაწილს ჩვენი სკოლის მოსწავლეების რიგებში ვიხილავთ.

ტრანსდისციპლინარული თემების შეჯამება

მოსწავლეთა განათლება ცალკეული საგნების სწავლებით საკმარისი არ არის - ბავშვმა უნდა შეძლოს კავშირების დამყარება ცალკეულ საგნებს შორის და ამავე დროს, ნასწავლის დაკავშირება რეალურ ცხოვრებასთან.
სწორედ ეს მიზანი ჰქონდა 13,16 და 20 ნოემბერს გამართულ ტრანსდისციპლინარული თემების შეჯამებას ქართული სექტორის დაწყებით საფეხურზე.
საინტერესო ნამუშევრები გამოფინეს ოთხივე კლასის მოსწავლეებმა. მათ დიდი მონდომებით წარმოადგინეს თავიანთი შრომის შედეგად შექმნილი პოსტერები და სხვადასხვა სახის რესურსები, განიხილეს თემის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები.

პროექტი „ევროპული სკოლა - ათენი - ევროპული სკოლა“

2012 წლიდან ევროპული სკოლა აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო ფესტივალ ,,ოქროს საწმისში“, რომელიც ეძღვნება ბერძნულ-ქართულ ურთიერთობებს. აღნიშნული ღონისძიების მხარდამჭერები არიან თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, საბერძნეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში და საქართველოს ეროვნული არქივი. წლების განმავლობაში ევროპული სკოლის მოსწავლეები წარჩინებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა აქტივობაში, კერძოდ, 2012-2013 სასწავლო წელს მე-6 ა კლასის მოსწავლეებმა, რომელთა ჯგუფის კაპიტანი გახლდათ ირაკლი ბეჟუაშვილი, 1-ლი ადგილი აიღეს ვიქტორინაში: ,,რა? სად? როდის?“; 2013-2014 სასწავლო წელს კვლავ პრიზიორები გახდნენ და შესაბამისი დიპლომებით დაჯილდოვდნენ მე-7 და მე-10 კლასის მოსწავლეები კონკურსზე, რომელიც ეძღვნებოდა მელინა მერკურის იუბილეს, მათი ნაშრომები წიგნად გამოსცა უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ამ ფესტივალში აქტიურად გახლდნენ ჩართულები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები, რომლებიც დგამდნენ სპექტაკლებს ბერძნული მითოლოგიის თემაზე. აღნიშნულ პროექტს ევროპულ სკოლაში ხელმძღვანელობს ისტორიის პედაგოგი - მაია წენგუაშვილი.

2018-2019 სასწავლო წელს ევროპული სკოლის ქართული სექტორის მე-7 კლასის მოსწავლეებთან დაიგეგმა პროექტი სახელწოდებით ,,ევროპული სკოლა - ათენი - ევროპული სკოლა“, რომელიც ითვალისწინებდა ანტიკური პერიოდის საბერძნეთის შესწავლას და ამ ეპოქის ქართულ-ბერძნულ ურთიერთობებს. პროექტის დაგეგმვისთანავე მოსწავლეები შეუდგნენ აქტიურ მზადებას, კერძოდ, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად უტარდებოდათ ლექციები, ამზადებდნენ პრეზენტაციებს, ჩაატარეს კვლევა უძველეს ევროპულ ცივილიზაციაზე (კრეტა-მიკენის კულტურა). თსუ-ს ნეოგრეცისტიკის კათედრამ ჩაატარა ინტერაქტიული გაკვეთილი თემაზე ,,ბულინგი ძველ ბერძნულ ტრაგედიებში“. სკოლის ფარგლებში ჩატარდა დემო-გაკვეთილი - ,,ბერძნული დემოკრატიის განვითარების ეტაპები“.

აღნიშნული აქტივობების შემდეგ, სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მე-7 კლასის მოსწავლეები მშობლებთან, პროექტის ხელმძღვანელ მაია წენგუაშვილთან, საბაზო საფეხურის კოორდინატორ ინგა თოლორაიასთან და კლასების დამრიგებელ თამთა გოგიჩაშვილთან ერთად 30 ნოემბერს ოთხი დღით გაემგზავრნენ საბერძნეთში. მოსწავლეებს და მათ მშობლებს გადაეცათ წინასწარ გაწერილი საათობრივი პროგრამა, სადაც ნაჩვენები იყო ყოველდღიური აქტივობების შესახებ.
30 ნოემბერს მოსწავლეები შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩს საბერძნეთში, ბატონ იოსებ ნანობაშვილს. ამავე დღის ბოლოს მოსწავლეები ესტუმრნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს და ქართული კულტურის ცენტრის ,,კავკასიის“ ხელმძღვანელს ბატონ ავთანდილ მიქაბერიძეს, სადაც საუბარი წარიმართა თბილ გარემოში, საღამო დასრულდა რევაზ ლაღიძის უკვდავი ქართული სიმღერით ,,თბილისო“. 1-ელ დეკემბერს დაათვალიერეს აკროპოლისი და ათენის სხვა ღირსშესანიშნაობები. 2 დეკემბერს კი გაემგზავრნენ არგოლიდაში, მოინახულეს მიკენის აკროპოლისი და არქეოლოგიური მუზეუმი, ეპიდავროსის თეატრი; 3 დეკემბერს გაემართნენ საბერძნეთის უძველეს დედაქალაქ ნაპლიოსში, ველიანგმინის ტბაზე, სუნიოს კონცხზე, პოსეიდონის ტაძართან, სადაც უყურეს ეგეოსის ზღვაში მზის ჩასვლას, საბოლოოდ კი, ულამაზესი შთაბეჭდილებებით გაემგზავრნენ აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე. მაია წენგუაშვილი: ,, ბედნიერებაა, როცა გაქვს საშუალება ჩემსავით ისაუბრო მითოლოგიაზე, ზევსიდან დაწყებული პოსეიდონის ტაძრით დამთავრებული და მოსწავლეებს აჩვენო შესაბამისი არტეფაქტები, შემდეგ კი ბერძენ-სპარსელთა ომებზე გაკვეთილი სალამინის სრუტის სანაპიროზე ჩაატარო“.

საქველმოქმედო აქცია სოფელ აქთაქლის ბიბლიოთეკის დასახმარებლად

ევროპული სკოლის ქართული პროგრამის მე-10 და მე-12 კლასების მოსწავლეებმა დამრიგებლებთან ერთად გადაწყვიტეს მოეწყოთ საგანმანათლებლო-საქველმოქმედო აქცია და დახმარებოდნენ რომელიმე სკოლას ბიბლიოთეკის შექმნასა და წიგნებით გამდიდრებაში.
ჩვენდა სასიხარულოდ, საქველმოქმედო აქციაში მთელი სკოლა ჩაერთო და ერთი კვირის განმავლობაში აქტიურად ვაგროვებდით წიგნებსა და საკანცელარიო ნივთებს.
დასახმარებლად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებით დასახლებული გარდაბნის რეგიონის სოფელ აქთაქლის საჯარო სკოლა ავირჩიეთ. აქ სწავლება ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე მიმდინარეობს. მოსწავლეთა კონტიგენტი მხოლოდ აზერბაიჯანულია, მაგრამ სასიამოვნოა ის, რომ სკოლის ქართულ სექტორს ჰყავს 72 აზერბაიჯანელი მოსწავლე.
როგორც სკოლის დირექტორთან, ქ-ნ მთვარისა ბაბაჯანაშვილთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, სკოლის მწირ ბიბლიოთეკას ძალიან სჭირდებოდა ქართული მხატვრული ლიტერატურით გამდიდრება.
22 ნოემბერს, შეგროვილი ნივთები და საკანცელარიო ნივთები დავახარისხეთ და გავემართეთ სოფელ აქთაქლისაკენ.
სკოლას საჩუქრად გადავეცით 500-მდე ქართულენოვანი წიგნი და საკანცელარიო ნივთები. ჩვენი ჩატანილი საჩუქრებით ბავშვები და სკოლის ხელმძღვანელობა ძალიან გავახარეთ, განსაკუთრებით ბედნიერები პირველკლასელები იყვნენ, რომელთაც საჩუქრად მიიღეს საკანცელარიო ნივთების სრული კომპლექტი.
დიდი იმედი გვაქვს, რომ აქცია მიაღწევს მის მთავარ მიზანს და ეს წიგნები დაეხმარება აზერბაიჯანელ მოსწავლეებს ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლაში.

გაკვეთილები არქეოლოგიაზე - მიწაში დამალული ისტორია

ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებით საამაყოა ესოდენ ძველი ისტორიის და ლიტერატურის გაზიარება საერთაშორისო სექტორის მოსწავლეებისთვის, რომლებიც ჩვენს სკოლაში სწავლობენ. ამ დროს შესაძლებლობა გვეძლევა ჩვენი იდენტობის, უნიკალურობის ძიებისა. ეს სტიმულია სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებისათვის, რომლებიც დიდი ინტერესით იკვლევენ საკუთარ ისტორიას და შემდეგ ამას წარმოაჩენენ გაკვეთილზე. ეს მათ მკვლევარის, მომხსენებლის უნარ-ჩვევებს უღრმავებს და საკუთარი ქვეყნის, ისტორიის ცოდნასაც სძენს.

თემა „ცივილიზაცია“ დიდ შესაძლებლობას გვაძლევს, როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს, ვიყოთ მკვლევარები, თავი წარმოვიდგინოთ მეცნიერებად და სახალისო არქეოლოგიის თუ სხვა აქტივობების დახმარებით ჩვენი „აღმოჩენებიც“ გავაკეთოთ.

„სახალისო არქეოლოგიის სასწავლო პროცესი იყო საინტერესო, ვერც კი ვიფიქრებდი, თუ ამდენ რამეს მასწავლიდა გათხრები, ან იქ აღმოჩენილი ნივთები. თურმე ისტორიის დიდი ნაწილი მიწაში იმალება...“ - ნიაკო, მე-5ა კლასი.

„სახალისო და საინტერესო იყო გათხრების პროცესი, შემდეგ მათი დანომვრა, ჩანაწერების ფურცლებზე სწორ ადგილას განთავსება... თავი ნამდვილი მეცნიერები გვეგონა. გვყავდა ძალიან კარგი გიდი, რომელიც გვიამბობდა დმანისის გათხრებზე და გვაჩვენებდა ფოტოებს სინამდვილეში როგორ აღმოაჩინეს პირველი ევროპელების კვალი.“ - სოფო და ლიზი, მე-5ბ კლასი.

“ჩვენთვის საინტერესო იყო ის სიძველეები, რომლებიც აღმოვაჩინეთ, თურმე მეცნიერები ასეთი პატარა აღმოჩენებით საბოლოოდ დიდ მეცნიერულ დასკვნამდე მიდიან.” - მარიამი და ქეთო, მე-5ბ კლასი.

“ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ადამიანის ნაწილების აღმოჩენამ მოახდინა, ჩვენ ყველაფერს ზუსტად ისე ვაკეთებდით, როგორც ნამდვილი არქეოლოგები.”- რომა და იკა, მე-5ბ კლასი.

ძაღლების თავშესაფარი: თანაგრძნობა იწყება სახლიდან

პარასკევს, 17 ნოემბერს, MYP-ის მეათე კლასის მოსწავლეები თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარს ესტუმრნენ. წვიმიანი ამინდის მიუხედავად მოსწავლეებმა ემოციურად გამოხატეს ემპათიის გრძნობა ოთხფეხა მეგობრების მიმართ. სტუმრებმა თავშესაფარში საკვები მიიტანეს, თანხა გადასცეს და ძაღლებთანაც მშვენიერი დრო გაატარეს. „ასეთი ახალგაზრდები ჯანმრთელი და წარმატებული საზოგადოების ნიმუშს წარმოადგენენ. სწორედ ისინი **შექმნიან** ისეთ მმართველობის სისტემას, რომელიც სიკეთესა და სამართლიანობაზე იქნება დაფუძნებული,“- ვკითხულობთ თავშესაფრის ოფიციალურ ვებგვერდზე ევროპული სკოლის მოსწავლეების შესახებ.

მსოფლიო ჩემპიონი და ევროპული სკოლის მოსწავლეები - ბულინგის წინააღმდეგ

17 ოქტომბერს ჩვენს სკოლას პროექტ "სპორტი ბულინგის წინააღმდეგ" ფარგლებში სტუმრობდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში გურამ თუშიშვილი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, სახალხო დამცველის მოადგილე ეკა სხილაძე და ცნობილი ფოტოგრაფი და მოგზაური გოგა ჩანადირი. სტუმრებმა მოსწავლეებს გაუზიარეს თავიანთი დამოკიდებულება ბულინგისადმი და ისაუბრეს სპორტზე, როგორც ძალადობისა და ბულინგის წინააღმდეგ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტზე.
შეხვედრაზე განიხილეს წარმატების მიღწევის არაძალადობრივი მეთოდები, აღნიშნეს, თუ რა ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ძალადობის ნებისმიერ გამოვლენას, როგორც მსხვერპლის, ასევე, თავად მოძალადისთვის.
მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში და ისაუბრეს ბულინგის გამომწვევ მიზეზებსა და მისი პრევენციის საშუალებებზე.
მოცემული პროექტის ფარგლებში ევროპული სკოლის მოსწავლეები ცნობილ სპორტსმენებთან ერთად ჩაერთვებიან საქველმოქმედო ღონისძიებაში, რომლის შედეგადაც რეგიონებში აშენდება სპორტული მოედნები. ევროპული სკოლა მიუხედავად დატვირთული სასწავლო გრაფიკისა, უზრუნველყოფს იმას, რომ მისი მოსწავლეები იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტებში.

C.O.A.T.S : მოექეცი სხვებს ისე, როგორც გსურს რომ მოგექცნენ შენ

ევროპული სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქველმოქმედო აქცია C.O.A.T.S.-ში.
დასკვნითი ღონისძიება 17 და 18 ნოემბერს ჩატარდა სასტუმრო რედისონ ბლუში და მასში მონაწილეობა მიიღეს ქართული, ამერიკული და IB დეპარტამენტების მოსწავლეებმა.
MYP-ის წილად ხვდა პატივი, შეეკრიბა ევროპული სკოლა და გაეზიარებინა C.O.A.T.S.-ის საქველმოქმედო პრაქტიკა - სკოლის ფარგლებში მოხდა თბილი ტანსაცმლის შეგროვება მათთვის, ვისაც არ აქვს საშუალება თავად შეიძინოს ტანისამოსი ცივი ზამთრისათვის.
„C.O.A.T.S. საჭირო გამოცდილებაა ნებისმიერი ასაკის მოსწავლისათვის, იგი გახსენებს ყველა იმ სიმდიდრეს, რომელსაც შენ ფლობ და რომელზეც სხვებს ხელი არ მიუწვდებათ,“- ასეთია მეათეკლასელი სოფო ოქრიაშვილის მოსაზრება.
„სამწუხაროა, როცა ხედავ, რა მდგომარეობაში ცხოვრობენ შენი თანატოლები. მაგრამ ის შეგრძნება, რომ დაეხმარე ამდენ ადამიანს, შეუდარებელია,“- აღნიშნა ჩვენი სკოლის მოსწავლემ, ანასტასია ბესონოვამ.





ხეების დარგვის აქცია - მეტი სიმწვანე და სუფთა ჰაერი ჩვენს ქალაქს

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ადრეული ასაკიდანვე, რათა მათ გაიაზრონ გარემოზე ზრუნვის მნიშვნელობა და იგრძნონ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა ეკოლოგიაზე.

ევროპული სკოლის ამერიკული სექტორის მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, მიეღოთ მონაწილეობა ქალაქის გამწვანებაში და საკუთარი ხელით დაერგოთ ხეები.

მერიასთან თანამშრომლობით, ჩვენი სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ იფნის ნერგები, რომლებიც თავად დარგეს უნივერსიტეტის ქუჩაზე, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე.

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს გამართულ გამწვანების აქციაში 35 მოსწავლე ჩაერთო, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა, წვლილი შეეტანათ გარემოს გამწვანებაში. „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობა და გვსურს, რაც შეიძლება მეტად ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის იერსახეზე. ყველამ ვიცით, რომ ჰაერის დაბინძურების საკითხი ჩვენს ქვეყანაში ძალიან სერიოზულად დგას და იმედი გვაქვს, რომ თუნდაც ერთი ხის დარგვით შევძლებთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქალაქის ეკოლოგიის გაუმჯობესებაში.“- აღნიშნა მე-11 კლასის ერთ-ერთმა მოსწავლემ. „ვისურვებდით, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიებები სამომავლოდაც განმეორდეს და რაც შეიძლება, მეტ ადამიანს გაუჩნდეს გარემოზე ზრუნვის სურვილი“ - განაცხადა გამწვანების აქციის მონაწილე მე-10 კლასელმა.

ამერიკულ სექტორში ასეთი აქტივობები გაგრძელდება არა მხოლოდ თბილისის მასშტაბით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ახლებურად დანახული "ვეფხისტყოსანი" - გიორგი კახიშვილის ლექცია

19 ოქტომბერს ევროპულ სკოლას პერსპექტიული ახალგაზრდა მკვლევარი, გიორგი კახიშვილი ესტუმრა ვეფხისტყაოსანზე სასაუბროდ და მოსწავლეებს გააცნო მისი ორიგინალური მიგნებები, რომლებიც უკვე აღიარებულია წამყვანი მეცნიერების მიერ.

შეხვედრის მონაწილეებისათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გიორგის მიერ წარმოდგენილი არაორდინალური ხედვა „ვეფხისტყოსანში“ მითოსურ სამყაროსთან არსებულ კავშირებსა და ალეგორიებზე.

ჩვენმა მოსწავლეებმა თავადაც გამოთქვეს მოსაზრებები და სტუმართან ერთად გაავლეს პარალელები „ვეფხისტყაოსანსა“ და მსოფლიო ლიტერატურის სხვა შედევრებს შორის.

ხეების დარგვის ექსკურსია ტაო-კლარჯეთში - უძველესი ქართული ძეგლების კვალდაკვალ- მეტი სიმწვანე და სუფთა ჰაერი ჩვენს ქალაქს

11-14 ოქტომბერს ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეები ტაო-კლარჯეთში გაემგზავრნენ ექსკურსიაზე. მათ მოინახულეს შავშეთის, კლარჯეთისა და ტაოს კულტურული ძეგლები. მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა, საკუთარი თვალით ენახათ ის მნიშვნელოვანი ადგილები, რომელთა შესახებაც საქართველოს ისტორიისა და ქართული ჰაგიოგრაფიის კურსის შესწავლისას იღებენ ინფორმაციას.



ოთხდღიანი ტურის განმავლობაში ისინი მრავალ ისტორიულ-კულტურულ ძეგლს ეწვივნენ, მათ შორის: მერეს ციხე, ქაჯეთის ციხე, არტაანი, შავშეთი, სათლეს ციხე, ტბეთი, დოლისყანა, ართვინი, არტანუჯი, ჯოჯოხეთის კანიონი, ახიზას ციხე, იუსუფელი, ოთხთა ეკლესია, კავკასიძეების ციხე, ვეჟანგეთის ციხე, იშხანი, ოშკი, ხახული, თორთუმის ჩანჩქერი, თორუმის ციხე და ბანის ტაძარი.

“მოსწავლეებს საზღვრებს გარეთ დარჩენილი საქართველოს ნახვის შესაძლებლობა მიეცათ, რაც ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის შესაცნობად ძალიან მნიშვნელოვანია“ - აღნიშნა ამერიკული უმაღლესი სკოლის აკადემიურმა დირექტორმა, ნათია თევზაძემ.

ბაღის პირველი დღე

10 სექტემბერს ჩვენს საბავშვო ბაღში ახალი სასწავლო წლის დაწყება აღვნიშნეთ.
ევროპული ბაღის ფერადი ოთახები ყველაზე საყვარელი და მხიარული პატარების ჟრიამულმა აავსო.
ეს დღე განსაკუთრებით ემოციური და მნიშვნელოვანი იყო იმ ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის, რომელთაც წელს პირველად შეაღეს საბავშვო ბაღის კარი.
„დიდი სიხარულით ველოდი ბაღის დაწყებას მთელი ზაფხული, რადგან აქ ჩემი მეგობრები და საყვარელი მასწავლებლები მელოდებოდნენ.“- გვითხრა ჩვენმა ერთ-ერთმა აღსაზრდელმა.
“ძალიან მხიარული დღე იყო. ძალიან კარგად გავერთეთ მე და ჩემი მეგობრები ჯამბაზთან ერთად“- დაამატა მეორემ.
ჩვენ კი გპირდებით კიდევ უფრო სახალისო აქტივობებითა და სასიამოვნო სიურპრიზებით დატვირთულ 2018-2019 წელს!

ხელების დაბანის საერთაშორისო დღე - ვსწავლობთ სუფთა ხელების მნიშვნელობას

15 ოქტომბერს, ევროპული ბაღი შეუერთდა ხელების დაბანის საერთაშორისო დღეს.
ჩვენმა ბავშვებმა კიდევ ერთხელ მიიღეს ინფორმაცია ხელების დაბანის მნიშვნელობაზე და ამ თემაზე შექმნილი საინტერესო ნამუშევრების გამოფენა მოაწყვეს.
ბაღს სტუმრად ეწვია თოჯინა”წყლის წვეთი”, რომელმაც კიდევ უფრო გაახალისა ეს დღე.
ბოლოს, პატარები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ხელების სწრაფად დაბანაში და გამარჯვებული ჯგუფიც გამოვავლინეთ.
მსგავსი ღონისძიებები ეხმარება ჩვენს ბავშვებს, უკეთ გაიგონ და გაიაზრონ გლობალური მოქალაქეობის მნიშვნელობა.

პატარების პრეზენტაცია მშობლებისათვის

პარასკევს, 2 ნოემბერს,ევროპულ ბაღში მოვაწყვეთ გავლილი მასალის პრეზენტაცია-გამოფენა.
ბავშვებმა დედიკოებს და მამიკოებს დაათვალიერებინეს თავიანთი ნამუშევრები სხვადასხვა თემაზე, ასევე დააგემოვნებინეს საკუთარი ხელით დამზადებული ორცხობილები, ჩურჩხელები და ვაშლის ჯემი.

ჯანსაღი კვების სახალისო გაკვეთილი შეფ-მზარეულისაგან

ჩვენი ბაღის მოსწავლეებთან ჯანსაღი კვების ჩვევების გამომუშავებაზე ევროპული სკოლის შეფ-მზარეულ გიორგისთან ერთად ვმუშაობთ.
გიორგი პატარებს ესაუბრა ყოველდღიურ რაციონში ხილ-ბოსტნეულის ჩართვის აუცილებლობასა და მათ სასარგებლო თვისებებზე. ბავშვები დიდი ინტერესით უსმენდნენ მის რჩევებს და აქტიურად უსვამდნენ კითხვებს.
ამის შემდეგ გიორგიმ პატარებთან ერთად ხილისა და ბოსტნეულისაგან სხვადასხვა სახალისო კომპოზიციები შექმნა, რომელთაც მათი დიდი მოწონება დაიმსახურეს. შეხვედრის დასასრულს მათ ერთად დააგემოვნეს ჯანსაღი და გემრიელი ნამუშევრები.
ბავშვებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ დღეიდან უფრო ხშირად მიირთმევენ ხილსა და ბოსტნეულს.

საოცარი ქიმიური ექსპერიმენტები ჩვენს ბაღში

ევროპული სკოლის ბაღის ქართული სექტორის მოსამზადებელი ჯგუფის ბავშვებს 26 ოქტომბერს ჯადოსნური დღე ჰქონდათ. პროფესიების თემასთან დაკავშირებით ქიმიის გასაოცარ სამყაროში მათი მეგზურები იყვნენ ჩვენი მოსწავლის, ალექსანდრე ღლონტის დედა, სოფო ფაცაცია და თეა სიხარულიძე.
მათ ნამდვილი ჯადოქრობები აჩვენეს ბავშვებს ქიმიური ექსპერიმენტების სახით: პატარებმა ნახეს, თუ როგორ დიდდება და იღებს სხვადასხვა ფორმას ციცქნა აბი, როგორ მზადდება ლიმონათი, როგორ იფრქვევა ვულკანი და იხილეს სხვადასხვა ფერის "სპილოს კბილის პასტა".
ბოლოს კი, დიდი სიხარულითა და მხიარულებით გაეხვივნენ მშრალი ყინულის კვამლში.
„მე ბევრჯერ მინახავს დედიკოს ქიმიური ექსპერიმენტები და მიხარია, რომ ჩემს მეგობრებსაც ძალიან მოეწონათ"- ამაყად განგვიცხადა ალექსანდრე ღლონტმა.

ჰელოუინის წვეულება: შემოგვიერთდი, თუ გაბედავ!!!

ჰელოუინი გამორჩეული დღეა ბავშვებისა და დიდებისათვის. მათ შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი პერსონაჟი და მის სამოსში გამოწყობილნი ეწვიონ წვეულებას.
ორიგინალურ და შთამბეჭდავ კოსტუმებში გამოწყობილი ჩვენი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები საზეიმოდ მორთულ სკოლის მთავარ დარბაზში შეიკრიბნენ ჰელოუინის აღსანიშნავად.
ღონისძიების დასაწყისში MYP-ს მოსწავლეებმა შემოგვთავაზეს თემატური სპექტაკლი ჰელოუინისთვის დამახასიათებელი შიშისმომგვრელი ატმოსფეროთი.
სპექტაკლ „პატარა წითელცხვირაში“ როლები MYP IB-ის მეცხრე და მეათე კლასელებმა შეასრულეს, თავისი თეატრალური წრის ხელმძღვანელისა და SA კოორდინატორის დახმარებით.
ყოველთვის სახალისოა ნამდვილ ცხოვრებაში განიცადო ის, რასაც სკოლაში გასწავლიან. ამიტომაც, მოსწავლეებმა, გადაწყვიტეს თანაკლასელებისთვის ქიმიური ექსპერიმენტების შოუ ეჩვენებინათ.
ჯადოსნურმა ქიმიურმა ექსპერიმენტებმა, ჰელოუინის მაგიურ განწყობასთან ერთად, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.
დღესასწაული სახეების მოხატვით გაგრძელდა, რასაც მოჰყვა წითელი ხალიჩა, თანამედროვე ცეკვები, სიმღერები და ბოლოს ყველაფერი დაუვიწყარი ცეკვების საღამოთი დასრულდა, რომელსაც პროფესიონალი DJ უძღვებოდა.
„ეს იყო იდეალური წვეულების იდეალური დასასრული,“- აღნიშნა მერვეკლასელმა მერიემ მელექმა ღონისძიების შემდეგ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გლობალურ მოტივატორებთან

7 დეკემბერს, ევროპულ სკოლას სპეციალური ვიზიტით ეწვია გაეროში აკრედიტირებული არასამთავრობო ორგანიზაციის ,,გლობალური განათლების მოტივატორები“ ხელმძღვანელი ვეინ ჯეიკობი, რომელმაც გაეროს საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორებისა და ლიდერების მოსამზადებელი ტრეინინგ- პროგრამა ჩაატარა.

ვიზიტის ფარგლებში, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის სამმხრივი მემორანდუმი ევროპულ სკოლასა და არასამთავრო ორგანიზაციებს ,,გლობალური განათლების მოტივატორები“ და ,,მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ შორის.

მემორანდუმი მოიცავს, პირველად საქართველოში, გაეროს საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, პირდაპირი ჩართვის/ ტელეხიდის უზრუნველყოფას გაეროს შტაბ-ბინიდან. კონფერენციის დროს მოხდება სარეზოლუციო პროექტის შემუშავება, რომელიც გაეროს ახალგაზრდობის წარმომადგენელს გადაეცემა, როგორც რეკომენდაცია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საკითხში.

დასასრულს, ევროპული სკოლის მოსწავლეებმა ბატონ ვეინ ჯეიკობსს სკოლის ტური ჩაუტარეს და გააცნეს მისი ინფრასტრუქტურა, აქტივობები და პროგრამები.

საშობაო გამოფენა

ევროპული სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების საშობაო გამოფენის გახსნაზე მოწვეული იყვნენ სტუმრები - შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი და თბილისის საპატიო მოქალაქე, მხატვარი ქეთი მატაბელი და მოზარდმაყურებელთა თეატრის მთავარი მხატვარი ნინო ჩიტაიშვილი.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ქართული სექტორისა და საერთაშორისო ბაკალავრიატის მოსწავლეებმა. წარმოდგენილი იყო შობა-ახალი წლის თემატიკაზე მრავალფეროვანი ტექნიკითა და მასალით შექმნილი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები, კოლაჟები და კონსტრუქციები.

გამოფენის გახსნის შემდეგ, გაიმართა შეხვედრა მხატვარ ქეთი მატაბელთან. მან ისაუბრა სახვითი ხელოვნების მნიშვნელობაზე, საკუთარ შემოქმედებასა და ახალ პროექტებზე. დასასრულს, ქალბატონმა ქეთიმ უპასუხა უფროსკლასელთა შეკითხვებს.